

**საარჩევნო  
ადმინისტრაცია,  
როგორც  
დამოუკიდებელი  
ორგანო**



**საქართველოს  
ახალგაზრდა  
იურიისტთა  
ასოციაცია**

საქართველოს ანალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

**საარჩევნო ადმინისტრაცია,  
როგორც დამოუკიდებელი  
ორგანო**

თბილისი  
2021

კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ. გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის შეხედულებებს.



**კვლევის ხელმძღვანელი:** მახუშბი მენაბდე

**კვლევის ავტორები:** გიორგი ალავერდაშვილი  
ლელა ტალიური

**რედაქტორი:** ხათუნა ყვირალაშვილი

**ტექ. რედაქტორი:** ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო  
(+995 32) 295 23 53, 293 61 01  
[www.gyla.ge](http://www.gyla.ge)

---

© 2021, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

## შესავალი

განასხვავებენ საარჩევნო ადმინისტრაციის სამ მოდელს: დამოუკიდებელს (Independent), სახელისუფლებოსა (Governmental) და შერეულს (Mixed).

**დამოუკიდებელი საარჩევნო** ადმინისტრაციის მოდელის მქონე სახელმწიფოებში არსებობს ცალკე, აღმასრულებელი ხელისუფლების ბირთვიდან დამოუკიდებელი, ავტონომიური ორგანო. მისი წევრები შეიძლება იყვნენ ექსპერტები, პოლიტიკური პარტიის მიერ ნომინირებული პირები<sup>1</sup> ან მოსამართლეები. გარანტირებულია მათი ფინანსური დამოუკიდებლობაც.<sup>2</sup> ამ მოდელის მაგალითებია საარჩევნო ტრიბუნალი და ცენტრალური საარჩევნო კომისია.<sup>3</sup> მას, ძირითადად, ახალი დემოკრატიის ქვეყნები იყენებენ.<sup>4</sup>

**სახელისუფლებო მოდელში** არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელია აღმასრულებელი ხელისუფლება სამინისტროს ან ადგილობრივი თვითმმართველობების მეშვეობით.<sup>5</sup> ამ შემთხვევაში ადმინისტრაციის ბიუჯეტი, შესაბამისად, სამინისტროს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის ნაწილია.<sup>6</sup>

**შერეული მოდელი** მოიცავს ორ ელემენტს და დუალისტური სტრუქტურით ხასიათდება.<sup>7</sup> ამ ტიპის საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება, ერთი მხრივ, პოლიტიკის შემქმნელი და მისი მაკონტროლებელი ორგანოსგან, რომელიც დამოუკიდებელია ხელისუფლებისგან, ხოლო მეორე მხრივ - ამ პოლიტიკის აღმასრულებლისგან, რომელიც მთავრობის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურულ დაქვემდებარებაშია.<sup>8</sup> აქ არჩევნების ორგანიზებას

---

<sup>1</sup> Electoral Management Design, Revised Edition, *Catt H., Ellis A., Maley M., Wall A., Wolf P.*, 2014, International IDEA p. 11.

<sup>2</sup> Ibid, p. 9.

<sup>3</sup> Ibid, p. 10.

<sup>4</sup> Electoral Management Bodies and Electoral Governance, *Onishi, Y.* 選挙研究 28巻2号 2012年, (Election Research Vol. 28, No. 2, 2012), p. 67, იაპონიის აკადემიური ჟურნალი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yd7d5ky5>, განახლებულია: 29.05.20.

<sup>5</sup> Managing Elections: Definition and Classification of Election Management Bodies, *Musbeh, M.*, SSRN Electronic Journal, 2011, Researchgate, p. 8. ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yco3l3bm>, განახლებულია: 29.05.20.

<sup>6</sup> Electoral Management Design, Revised Edition, *Catt H., Ellis A., Maley M., Wall A., Wolf P.*, 2014, International IDEA p. 7.

<sup>7</sup> Ibid, p. 8.

<sup>8</sup> Ibid.

უზრუნველყოფს აღმასრულებელ ხელისუფლებაში არსებული ინსტიტუტი, ხოლო პროცესზე ზედამხედველობას - დამოუკიდებელი საარჩევნო ადმინისტრაცია.<sup>9</sup> შერეულ მოდელში დაფინანსების სისტემაც შერეულია. დამოუკიდებელი დაწესებულება სარგებლობს საკუთარი ბიუჯეტით, ხოლო მთავრობის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურული ერთეული შესაბამისი სუბიექტის მიერ ფინანსდება.<sup>10</sup> შერეულ მოდელის მაგალითებია ad hoc საარჩევნო კომისია და სამინისტრო, ან - საარჩევნო საბჭო და სამინისტრო.<sup>11</sup>

ევროკავშირის წევრი 25 ქვეყნიდან<sup>12</sup> 8-ში (ბულგარეთი, რუმინეთი, ხორვატია, ლიტვა, ლატვია, მალტა, პოლონეთი და სლოვენია) საარჩევნო ადმინისტრაცია დამოუკიდებელი ორგანოა,<sup>13</sup> 11-ში (ბელგია, კვიპროსი, ჩეხეთი, დანია, ფინეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი და შვედეთი) - სახელისუფლებო-სამთავრობო,<sup>14</sup> 6-ში (საფრანგეთი, უნგრეთი, ნიდერლანდები, პორტუგალია, სლოვაკეთი და ესპანეთი) - შერეული მოდელი.<sup>15</sup>

ეს დოკუმენტი მიმოიხილავს დასახელებულ სახელმწიფოთა მხოლოდ იმ ნაწილს, რომელთაც დამოუკიდებელი საარჩევნო ადმინისტრაციების მოდელი აქვთ, აგრეთვე მათაც, რომელთა ადმი-

---

<sup>9</sup> Ibid.

<sup>10</sup> Ibid, p. 9.

<sup>11</sup> Ibid, p. 10.

<sup>12</sup> ეს ქვეყნებია: ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი და შვედეთი. სია ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yafx82ef>, განახლებულია: 26.05.20. კვლევაში განხილული არ არის ავსტრიისა და ესტონეთის გამოცდილება, რადგან ორივე სახელმწიფოში საარჩევნო ადმინისტრაციების წევრები დაკომპლექტებულია ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებით. Office for Democratic Elections and Human Rights. Republic of Austria. Early Parliamentary Elections. 28 September 2019. ODHR Needs Assessment Mission Report. 14-16 August, 2019, p. 5, უთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/odhr/elections/austria/429095?download=true>, განახლებულია: 11.06.20. Riigikogu Election Act, art. 10. ესტონეთის საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y8j8yhbw>, განახლებულია: 11.06.20.

<sup>13</sup> International IDEA. Model of Electoral Management. ხელმისაწვდომია: <https://www.idea.int/data-tools/question-countries-view/130365/Europe/cnt.> \ განახლებულია: 04.10.19.

<sup>14</sup> Ibid.

<sup>15</sup> Ibid.

ნისტრაციაც არსებითად დამოუკიდებელია აღმასრულებელი ხელისუფლების ბირთვისგან.<sup>16</sup>

დამოუკიდებელი საარჩევნო ადმინისტრაციების მოდელში სამი ტიპი გამოიყოფა: (1) პროფესიული (შედგება მხოლოდ აკადემიური, პოლიტიკური კვაშირების არმქონე პირებისგან,<sup>17</sup> აგრეთვე მოსამართლეებისგან); (2) პოლიტიკური (შედგება მხოლოდ პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული წევრებისგან);<sup>18</sup> (3) შერეული (ამ ორი ვარიანტის გაერთიანება). შერეულ მოდელს ორი ქვეტიპი აქვს - მოსამართლე-პოლიტიკური და პროფესიულ-პოლიტიკური. საქართველო ამ უკანასკნელის სახესხვაობაა.

შესწავლილი სახელმწიფოებიდან საარჩევნო ადმინისტრაცია შერეული პრინციპით, პროფესიულ-პოლიტიკური ქვეტიპის მოდელით ყალიბდება სლოვენიასა და ლიტვაში, ხოლო მოსამართლე-პოლიტიკურის - რუმინეთში, ხორვატიაში, პოლონეთსა და ლატვიაში. მხოლოდ პოლიტიკურად დანიშნული წევრები ჰყავთ მალტასა და ბულგარეთში. მხოლოდ პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებულია გერმანიის საარჩევნო ადმინისტრაცია.

ქვემოთ წარმოდგენილია დასახელებულ სახელმწიფოთა მთავარი საარჩევნო ორგანოების დეტალური ანალიზი.<sup>19</sup>

## პროფესიული საარჩევნო ადმინისტრაცია

### გერმანია

**უმაღლესი საარჩევნო ორგანო:** ფედერალური საარჩევნო კომიტეტი შედგება თავმჯდომარის, 8 წევრისა და 2 მოსამართლისგან.<sup>20</sup> თავმჯდომარეს და მის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს შინაგან

<sup>16</sup> Ibid.

<sup>17</sup> Electoral Management Design, Revised Edition, *Catt H., Ellis A., Maley M., Wall A., Wolf P.*, 2014, International IDEA p. 11. აგრეთვე იხ. Electoral Management Bodies and Electoral Governance, *Onishi, Y.*, 選挙研究 28卷2号 2012年, (Election Research Vol. 28, No. 2, 2012), p. 68-69.

<sup>18</sup> Electoral Management Bodies and Electoral Governance, *Onishi, Y.*, 選挙研究 28卷2号 2012年, (Election Research Vol. 28, No. 2, 2012), p. 69.

<sup>19</sup> საარჩევნო კომისიების ქვემოთ მოცემული რანგირება ეყრდნობა შესაბამისი ქვეყნების უმაღლესი საარჩევნო კომისიების ანალიზს.

<sup>20</sup> Federal Elections Act, sec. 9, subsection 2, ფედერალური საარჩევნო კომიტეტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/4spgdqj9>, განახლებულია: 11.02.21.

საქმეთა ფედერალური მინისტრი.<sup>21</sup> დანარჩენ წევრებს ნიშნავს თავმჯდომარე კვალიფიციური ამომრჩევლებისგან.<sup>22</sup> 2 მოსამართლე კი ფედერაციული ადმინისტრაციული სასამართლოდან ინიშნება.<sup>23</sup>

**ქვედა დონის საარჩევნო ორგანო:** მას მიეკუთვნება ლანდის და ოლქის საარჩევნო კომიტეტები, აგრეთვე საარჩევნო ბორდები. მათ თავმჯდომარეებს ნიშნავს ლანდის მთავრობა ან მის მიერ სპეციალურად განსაზღვრული ორგანო.<sup>24</sup> ლანდის და ოლქის საარჩევნო კომიტეტებში, თავმჯდომარის გარდა, შედიან 6 კვალიფიციური ამომრჩეველი და ლანდის უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს 2 მოსამართლე.<sup>25</sup> საარჩევნო ბორდი შედგება თავმჯდომარის, მოადგილის და 3-დან 7-მდე წევრისგან.<sup>26</sup> დასახელებულ ორგანოთა წევრებს ნიშნავს შესაბამისი თავმჯდომარე, ან ლანდის მთავრობის გადაწყვეტილებით ეს შეიძლება დაევალოთ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს.<sup>27</sup>

## ლატვია

**საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანო:** ცენტრალური საარჩევნო კომისია შედგება 9 წევრისგან, რომელთაგან 8 არის საპარლამენტო პოლიტიკური პარტიების მიერ ნომინირებული წევრი, ხოლო 1 - უზენაესი სასამართლოს მიერ დანიშნული.<sup>28</sup> სეიმი თავად განსაზღვრავს წარდგენილი წევრების არჩევის წესს,<sup>29</sup> უზენაესს სასამართლოში კი წევრს პლენუმი ირჩევს<sup>30</sup> 2/3-ის უმრავლესობით.<sup>31</sup>

<sup>21</sup> Ibid, sec. 9, subsection 1.

<sup>22</sup> Ibid, sec. 9, subsection 2.

<sup>23</sup> Ibid.

<sup>24</sup> Ibid, sec. 9, subsection 1.

<sup>25</sup> Ibid, sec. 9, subsection 2.

<sup>26</sup> Ibid.

<sup>27</sup> Ibid.

<sup>28</sup> Republic of Latvia, Parliamentary elections, 6 October 2018, ODIHR Election Assessment Mission Final Report, p. 6, ეუთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y77y9csx>, განახლებულია: 11.06.20.

<sup>29</sup> Rules of Procedure of the Saeima, art. 32, ლატვიის სეიმის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y2svl2bp>, განახლებულია: 17.11.20.

<sup>30</sup> Law on Judicial Power of Latvia, sec. 49, subsection 6, ლატვიის სამართლებრივი აქტების ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yxw59qvh>, განახლებულია: 17.11.20.

<sup>31</sup> Plenary Session, ლატვიის უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://www.at.gov.lv/en/par-augstako-tiesu/plenums>, განახლებულია: 17.11.20.

**ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაცია:** ამ ტიპის საარჩევნო ადმინისტრაციებს მიეკუთვნებიან მუნიციპალური და საუბნო საარჩევნო კომისიები.<sup>32</sup>

მუნიციპალური საარჩევნო კომისია მუდმივი ორგანოა და შედგება 7-15 წევრისგან, რომელთა ზუსტ რაოდენობას განსაზღვრავს თავად მუნიციპალური საბჭო.<sup>33</sup> ყველა წევრს მუნიციპალური საბჭოვენიშნავს.<sup>34</sup> წევრების წარდგენის უფლება აქვთ პოლიტიკურ პარტიებს, ამომრჩეველთა 10-კაციან ჯგუფს და საბჭოს წევრს.<sup>35</sup> კომისიის უფლებამოსილების ვადა 4 წელია.<sup>36</sup> იგი საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევენ თავმჯდომარეს და მდივანს.<sup>37</sup>

მუნიციპალური საარჩევნო კომისიები ქმნიან საუბნო საარჩევნო კომისიებს არჩევნებამდე, სულ მცირე, 40 დღით ადრე.<sup>38</sup> ისინი დროებითი ორგანოებია და 5-7 წევრისგან შედგებიან. მათ ნიშნავს მუნიციპალური საარჩევნო კომისია.<sup>39</sup> წევრების წარდგენის უფლება აქვთ პოლიტიკურ პარტიებს, ამომრჩეველთა 10 კაციან ჯგუფს და საბჭოს წევრს.<sup>40</sup>

---

<sup>32</sup> Republic of Latvia, Parliamentary elections, 6 October 2018, ODIHR Election Assessment Mission Final Report, p. 6.

<sup>33</sup> Republic of Latvia, Parliamentary Elections, 6 October 2018. ODIHR Needs Assessment Mission Report, 4-7 June 2018, p. 5, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yadparha>, განახლებულია: 15.07.20.

<sup>34</sup> Republic of Latvia, Parliamentary elections, 6 October 2018, ODIHR Election Assessment Mission Final Report, p. 6.

<sup>35</sup> Ibid.

<sup>36</sup> Republic of Latvia, Parliamentary Elections, 6 October 2018. ODIHR Needs Assessment Mission Report, 4-7 June 2018, p. 5.

<sup>37</sup> Republic of Latvia, Parliamentary Elections, 6 October 2018. ODIHR Needs Assessment Mission Report, 4-7 June 2018, გვ. 5.

<sup>38</sup> Ibid.

<sup>39</sup> Ibid.

<sup>40</sup> Republic of Latvia, Parliamentary Elections, 6 October 2018. ODIHR Needs Assessment Mission Report, 4-7 June 2018, p. 5.



## მალტა

**საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანო:** მალტის უმაღლეს საარჩევნო ორგანოს საარჩევნო კომისია ეწოდება.<sup>41</sup> იგი შედგება მთავარი კომისრისა და 8 წევრისგან.<sup>42</sup> მის წევრებს ნიშნავს პრეზიდენტი პრემიერმინისტრის რჩევით.<sup>43</sup> მთავრობის თავმჯდომარემ მანამდე ოპოზიციის ლიდერთან უნდა გაიაროს კონსულტაციები.<sup>44</sup> პრაქტიკა აჩვენებს, რომ წევრები ორი საპარლამენტო პარტიიდან თანაბრად აირჩევიან.<sup>45</sup>

**ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაცია:** მალტაში ქვედა დონეზე არსებობს მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისია. ისინი იმართება დამხმარე საარჩევნო კომისრებისგან, რომელთაც წარადგენენ პოლიტიკური პარტიები (თითო პარტია თითო უბანზე ერთს წარადგენს) და საარჩევნო კომისია (2-ს - თითო უბანზე).<sup>46</sup> პოლიტიკური პარტიების მიერ დასახელებულ კანდიდატებს ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია.<sup>47</sup>

## ბულგარეთი

**საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანო:** ბულგარეთის ცენტრალური საარჩევნო კომისია შედგება 15 წევრისგან.<sup>48</sup> თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და მდივნის კანდიდატურების დასახელების უფლება აქვთ საპარლამენტო პარტიებს.<sup>49</sup> მათ ირჩევს

---

<sup>41</sup> Constitution of Malta, art. 60, sec. 1, [constituteproject-ის ვებგვერდი](https://tinyurl.com/yctesyqf), ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yctesyqf>, განახლებულია: 11.06.20.

<sup>42</sup> General Elections Act of Malta, art. 7, sec. 2, მალტის კანონმდებლობის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yblx36xn>, განახლებულია: 11.06.20.

<sup>43</sup> Constitution of Malta, art. 60, sec. 2.

<sup>44</sup> Ibid, art. 60, sec. 3.

<sup>45</sup> Republic of Malta, Early Parliamentary Elections, 3 June 2017 OSCE/ODIHR Election Assessment Mission Final Report, p. 6, [უთოს ვებგვერდი](https://www.osce.org/files/f/documents/3/4/348671.pdf), ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/files/f/documents/3/4/348671.pdf>, განახლებულია: 11.06.20.

<sup>46</sup> Ibid.

<sup>47</sup> General Elections Act of Malta, art. 57, sec. 1.

<sup>48</sup> Election Code of Bulgaria, art. 46, sec. 3, [ვენეციის კომისიის ვებგვერდი](https://tinyurl.com/y8v4fxnf), ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y8v4fxnf>, განახლებულია: 11.06.20.

<sup>49</sup> Ibid, art. 47, sec. 2, subsection 1.

ეროვნული კრება სრული შემადგენლობის უმრავლესობით.<sup>50</sup> ამ სამ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეული იყვნენ ერთი და იმავე ფრაქციის ან დეპუტატთა ჯგუფის მიერ წამოყენებული კანდიდატები.<sup>51</sup> კომისიის დანარჩენ წევრებს კი, საპარლამენტო და ის არასაპარლამენტო პარტიები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ევროპარლამენტში, სახელმწიფოს მეთაურს წარუდგენენ დასანიშნად.<sup>52</sup> ფრაქციებს კანდიდატი შეიძლება შესთავაზონ არასამთავრობო ორგანიზაციებმაც.<sup>53</sup> ასეთ შემთხვევაში უნდა მიეთითოს, რომ იგი შესთავაზებულია არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ.<sup>54</sup> მისი დანიშვნისას გამოყენება ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპი საპარლამენტო პარტიებსა და კოალიციებთან მიმართებით, ხოლო იმ სუბიექტებს, რომლებიც მხოლოდ ევროპარლამენტში არიან წარმოდგენილნი, 1 წევრის დასახელების უფლება აქვთ.<sup>55</sup> აგრეთვე, ერთი პარტიის ან კოალიციის ნომინირებული წევრები უმრავლესობაში არ უნდა იყვნენ.<sup>56</sup>

**ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაცია:** ბულგარეთში ქვედა დონეზე არსებობს რეგიონული, მუნიციპალური და სექციური საარჩევნო კომისიები.

რეგიონულ და მუნიციპალურ საარჩევნო კომისიებს აკომპლექტებს ცენტრალური საარჩევნო კომისია.<sup>57</sup> პირველს - არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 50-ე,<sup>58</sup> ხოლო მეორეს - არაუგვიანეს 45-ე<sup>59</sup> დღისა. დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრეთა 2/3-ის უმრავლესობით.<sup>60</sup> როგორც პირველი,<sup>61</sup> ისე მეორე<sup>62</sup> კომისია შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნის და წევრების-

---

<sup>50</sup> Rules of Procedure of the National Assembly, art. 86, sec. 4, ბულგარეთის ეროვნული კრების ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y4m9l42q>, განახლებულია: 19.11.20.

<sup>51</sup> Election Code of Bulgaria, art. 46, sec. 7.

<sup>52</sup> Ibid, art. 47, sec. 2, subsection 2.

<sup>53</sup> Ibid, art. 46, sec. 6.

<sup>54</sup> Ibid.

<sup>55</sup> Ibid, art. 46, sec. 8.

<sup>56</sup> Ibid.

<sup>57</sup> Ibid, art. 59 and 74.

<sup>58</sup> Ibid, art. 59.

<sup>59</sup> Ibid, art. 74.

<sup>60</sup> Ibid, art. 53, sec. 4.

<sup>61</sup> Ibid, art. 61, sec. 1.

<sup>62</sup> Ibid, art. 76, sec. 1.

გან. ერთი პარტიისა ან კოალიციის წარმომადგენლები უმრავლესობაში არ შეიძლება იყვნენ.<sup>63</sup> ამასთან, თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი არ შეიძლება იყვნენ ერთი პარტიიდან ან კოალიციიდან.<sup>64</sup> მათი და სხვა წევრების დანიშვნისას დაცული უნდა იყოს პარტიებისა და კოალიციების საპარლამენტო წარმომადგენლობა, თუმცა თითო პარტიიდან ან კოალიციიდან 1 წარმომადგენელი მაინც უნდა იყოს.<sup>65</sup>

რეგიონული ან მუნიციპალური საარჩევნო კომისიები არჩევნებამდე არაუგვიანეს 25-ე დღისა ნიშნავენ სექციურ საარჩევნო კომისიებს თითოეულ უბანზე.<sup>66</sup> ორივე კომისია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრეთა 2/3-ის უმრავლესობით.<sup>67</sup> სექციური საარჩევნო კომისიის შემადგენლობა ზემდგომის მსგავსია.<sup>68</sup> ერთი პარტიისა ან კოალიციის წარმომადგენლების უმრავლესობაში ყოფნის აკრძალვა აქაც მოქმედებს<sup>69</sup> ისევე, როგორც კომისიის თანამდებობის პირების სხვადასხვა პარტიიდან დანიშვნის პრინციპი.<sup>70</sup>

## *შერეული მოდელი*

### *მოსამართლე-პოლიტიკური ქვეტიპი*

#### **ხორვატია**

**საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანო:** ხორვატიის სახელმწიფო საარჩევნო კომისია შედგება 9 წევრისგან.<sup>71</sup> მას ხელმძღვანელობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე<sup>72</sup> და ჰყავს 4 ვიცეპრეზიდენტი, რომელთაგან 2 უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა, ხოლო ორს პარლამენტი ირჩევს კომისიის სხვა წევრებთან

<sup>63</sup> Ibid, art. 61, sec. 3; art. 76, sec. 3.

<sup>64</sup> Ibid.

<sup>65</sup> Ibid, art. 61, sec. 5; art. 76, sec. 5.

<sup>66</sup> Ibid, art. 89, sec. 1.

<sup>67</sup> Ibid, art. 70, sec. 4 and art. 85, sec. 4.

<sup>68</sup> Ibid, art. 92, sec. 1.

<sup>69</sup> Ibid, art. 92, sec. 3.

<sup>70</sup> Ibid.

<sup>71</sup> Republic of Croatia, Presidential Election, 22 December 2019 ODIHR Needs Assessment Mission Report, p. 4, ეუთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yd4qpalt>, განახლებულია: 12.06.20.

<sup>72</sup> Ibid.

ერთად.<sup>73</sup> კომისიაში თანაბარი წარმომადგენლობა უნდა ჰქონდეთ მმართველ პარტიასა და ოპოზიციას.<sup>74</sup> აგრეთვე, ყველა წევრისთვის სავალდებულოა იურისტად მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება.<sup>75</sup> კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურას წარადგენს არჩევნების დანიშვნისა და ადმინისტრაციის კომიტეტი.<sup>76</sup> დარჩენილი წევრებიდან ერთ ვიცეპრეზიდენტს და კომისიის 2 წევრს წარადგენს უმრავლესობა, ხოლო იმავე წევრთა კონფიგურაციას - ოპოზიციას.<sup>77</sup> კომისიის ყველა წევრს ირჩევს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით.<sup>78</sup>

**ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაცია:** ხორვატიაში ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაციას შეადგენენ: (1) მუნიციპალური და ქალაქის საარჩევნო კომისიები და (2) ხმის მიცემის კომიტეტები, რომლებიც ღრობითი ორგანოებია.<sup>79</sup>

მუნიციპალურ და ქალაქის საარჩევნო კომისიებს ქმნის სახელმწიფო საარჩევნო კომისია<sup>80</sup> სრული შემადგენლობის უმრავლესობით.<sup>81</sup> იგი შედგება თავმჯდომარის, 2 წევრის და 3 მოადგილისგან.<sup>82</sup> მათ არ აქვთ უფლება, იყვნენ პოლიტიკური პარტიის წევრები.<sup>83</sup> კომისიის წევრებს ირჩევენ მოსამართლეებისა და ადვოკატებისგან.<sup>84</sup>

ხმის მიცემის კომიტეტებს ქმნიან მუნიციპალური და ქალაქის საარჩევნო კომისიები არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-5 დღისა.<sup>85</sup> შემა-

---

<sup>73</sup> Ibid.

<sup>74</sup> Ibid.

<sup>75</sup> Ibid.

<sup>76</sup> Act on the State Electoral Commission of the Republic of Croatia, art. 4, ხორვატიის სახელმწიფო საარჩევნო კომისიის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y2pbrpq4>, განახლებულია: 19.11.20.

<sup>77</sup> Ibid, art. 7.

<sup>78</sup> Ibid, art. 4 and 7.

<sup>79</sup> Republic of Croatia, Presidential Election, 22 December 2019 ODIHR Needs Assessment Mission Report, p. 4, ეუთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yd4qpalt>, განახლებულია: 12.06.20.

<sup>80</sup> Ibid.

<sup>81</sup> Act on the State Electoral Commission of the Republic of Croatia, art. 20.

<sup>82</sup> Republic of Croatia, Presidential Election, 22 December 2019 ODIHR Needs Assessment Mission Report, p. 4.

<sup>83</sup> Ibid.

<sup>84</sup> Ibid.

<sup>85</sup> Ibid, p. 5.

დგენლობა<sup>86</sup> და პარტიულობის აკრძალვა<sup>87</sup> აქ ზემდგომი საარჩევნო კომისიის იდენტურია.

## რუმინეთი

**საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანო:** რუმინეთის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მუდმივმოქმედი საარჩევნო ორგანო (Permanent Electoral Authority) ეწოდება.<sup>88</sup> იგი შედგება 3 პირისგან, პრეზიდენტისა და ორი ვიცეპრეზიდენტისგან.<sup>89</sup> პრეზიდენტს ირჩევს სენატი და დეპუტატთა პალატა გაერთიანებულ სხდომაზე.<sup>90</sup> კანდიდატის დასახელების უფლება აქვთ საპარლამენტო ფრაქციებს.<sup>91</sup> კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას დააგროვებს, აირჩევა პრეზიდენტად.<sup>92</sup> ორი ვიცეპრეზიდენტიდან თითო-თითოს ნიშნავს სახელმწიფოს მეთაური და პრემიერმინისტრი.<sup>93</sup> ორგანოს ასევე ჰყავს გენერალური მდივანი, რომელსაც პრემიერმინისტრი ნიშნავს გამოცდის საფუძველზე.<sup>94</sup> იგი კოორდინირებას უწევს საარჩევნო ორგანოს დეპარტამენტების მიერ ფუნქციების შესრულებას.<sup>95</sup>

გარდა ამისა, ყოველი არჩევნების წინ იქმნება 3-საფეხურიანი საარჩევნო ადმინისტრაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ცენტრალური საარჩევნო ბიურო.<sup>96</sup> იგი შედგება: უზენაესი სასამართლოს 5 მსამართლის, მუდმივმოქმედი საარჩევნო ორგანოს პრეზიდენტის და ორი ვიცეპრეზიდენტის, პოლიტიკური პარტიის, ასევე, პოლიტი-

---

<sup>86</sup> Ibid, p. 4.

<sup>87</sup> Ibid.

<sup>88</sup> Romania, Presidential Election, 10 and 24 November 2019 ODIHR Election Assessment Mission Final Report, p. 7, უთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yachax69>, განახლებულია: 11.06.20.

<sup>89</sup> Ibid.

<sup>90</sup> Law no. 208/2015 of 20 July 2015 on the election of the Senate and the Chamber of Deputies, as well as on the organisation and functioning of the Permanent Electoral Authority, art. 101, sec. 2.

<sup>91</sup> Ibid.

<sup>92</sup> Ibid.

<sup>93</sup> Ibid, art. 101, sec. 3.

<sup>94</sup> Ibid, art. 101, sec. 11.

<sup>95</sup> Regulamentul de organizare și funcționare a Autorității Electorale Permanente, din 17.04.2019, art. 12, sec. 2, ხელმისაწვდომია მხოლოდ რუმინულ ენაზე: <https://tinyurl.com/yydxn4fw>, განახლებულია: 16.11.20.

<sup>96</sup> Romania, Presidential Election, 10 and 24 November 2019 ODIHR Election Assessment Mission Final Report, p. 6.

კური პარტიების ალიანსის მიერ დანიშნული მაქსიმუმ 12 ეროვნული უმცირესობის საპარლამენტო ფრაქციის მიერ დანიშნული 1 წარმომადგენლისგან.<sup>97</sup> 5 მოსამართლეს ნიშნავს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ამავე სასამართლოს მოსამართლეთაგან.<sup>98</sup> პოლიტიკური პარტიებისა და ეროვნულ უმცირესობათა ფრაქციების წარმომადგენლების რაოდენობა დგინდება პალატების თავმჯდომარეებსა და ცენტრალური საარჩევნო ბიუროს პრეზიდენტთან კომუნიკაციის საფუძველზე.<sup>99</sup>

**ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაცია (მეორე საფეხური):** საარჩევნო ოლქებში იქმნება საოლქო საარჩევნო ბიუროები, რომლებიც შედგება 3 მოსამართლის, 1 მუდმივი საარჩევნო ორგანოს წარმომადგენლისა და პოლიტიკური პარტიების მიერ დასახელებული მაქსიმუმ 9 პირისგან, აგრეთვე ეროვნული უმცირესობის იმ ორგანიზაციის წევრისგან, რომელიც არჩევნებში მონაწილეობს შესაბამის საარჩევნო ოლქში.<sup>100</sup> 3 მოსამართლეს საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ნიშნავს.<sup>101</sup> პოლიტიკური პარტიები საკუთარი წარმომადგენლების ვინაობას უგზავნიან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებს.<sup>102</sup>

საუბნო საარჩევნო ბიუროები (მესამე საფეხური) შედგება თავმჯდომარის, მისი შემცვლელის - რომლებიც, ძირითადად, არიან მაგისტრატი მოსამართლე ან სამართლის ექსპერტი - და 7 წევრისგან.<sup>103</sup> საუბნო საარჩევნო ბიუროს თავმჯდომარეს და მის შემცვლელს ნიშნავს მუდმივი საარჩევნო ორგანო (Permanent Electoral Authority) საჯარო სხდომაზე,<sup>104</sup> რომელიც ტარდება არჩევნებამდე 15 დღით ადრე.<sup>105</sup> პოლიტიკური პარტიები და ეროვნული უმცირესობები საუბნო კომისიებში წარსადგენი წევრების სიებს გადასცემენ საოლქო

---

<sup>97</sup> Law no. 208/2015 of 20 July 2015 on the election of the Senate and the Chamber of Deputies, as well as on the organisation and functioning of the Permanent Electoral Authority, art. 11, sec. 1.

<sup>98</sup> Ibid, art. 11, sec. 2.

<sup>99</sup> Ibid, art. 11, sec. 3.

<sup>100</sup> Ibid, art. 13, sec. 1.

<sup>101</sup> Ibid, art. 13, sec. 2.

<sup>102</sup> Ibid, art. 13, sec. 5.

<sup>103</sup> Ibid, art. 15, sec. 1.

<sup>104</sup> Ibid, art. 15, sec. 2.

<sup>105</sup> Ibid.

საარჩევნო კომისიას.<sup>106</sup> ამ წევრებს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნიშნავს.<sup>107</sup>

### პოლონეთი

**საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანო:** ეროვნული საარჩევნო კომისია კომპლექტდება სასამართლოებისა და პარლამენტის მიერ.<sup>108</sup> 9 წევრიდან თითო-თითო წარმოადგენს საკონსტიტუციო ტრიბუნალისა და უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს მოსამართლეებს, რომლებსაც ამ სასამართლოების თავმჯდომარეები ნიშნავენ.<sup>109</sup> დანარჩენ 7 წევრს ირჩევს პარლამენტი, თუმცა მათ უნდა დააკმაყოფილონ მოსამართლისთვის დაწესებული მოთხოვნები.<sup>110</sup> პარლამენტში ფრაქციები წარადგენენ კანდიდატებს მათთვის პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპზე დაყრდნობით.<sup>111</sup> გადაწყვეტილება მიიღება აბსოლუტური უმრავლესობით.<sup>112</sup>

**ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაცია:** ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაციის 3 რგოლი არსებობს. მესამე რგოლია საოლქო საარჩევნო კომისია.<sup>113</sup> იგი შედგება 4-დან 10-მდე მოსამართლისა და ერთი ex officio (საარჩევნო კომისარი) წევრისგან.<sup>114</sup> კომისარი არის ეროვნული საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი ქვედა რგოლის საარჩევნო ადმინისტრაციაში.<sup>115</sup> მას თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ეროვნული საარჩევნო კომისია.<sup>116</sup> თუ კომისარს არ შეუძლია თავმჯდომარეობა, მაშინ თავად კომისია აირჩევს ახალს.<sup>117</sup> კომისიაში მოსამართლეებს წარადგენს იუსტიციის მინისტრი არჩევნებამდე არაუგვიანეს 52-ე დღისა იმ რაოდენობით,

---

<sup>106</sup> Ibid, art. 15, sec. 6.

<sup>107</sup> Ibid.

<sup>108</sup> Kodeks wyborczy, art. 157, პოლონეთის სეიმის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yc6fytyx>, განახლებულია: 11.06.20.

<sup>109</sup> Ibid, art. 157, §. 2, sec. 1.

<sup>110</sup> Ibid.

<sup>111</sup> Ibid, art. 157, §. 4a.

<sup>112</sup> The Standing Orders of the Sejm of the Republic of Poland, პოლონეთის სეიმის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y68pjihj>, განახლებულია: 17.11.20.

<sup>113</sup> Kodeks wyborczy, Art. 170, § 1.

<sup>114</sup> Ibid.

<sup>115</sup> Ibid, art. 166, § 1.

<sup>116</sup> Ibid, art. 160, § 4, subsection 4.

<sup>117</sup> Ibid, art. 170, § 4.

რომელიც შეთანხმებულია ეროვნულ საარჩევნო კომისიასთან.<sup>118</sup> ეს უკანასკნელი კი არჩევნებამდე, სულ მცირე, 48 დღით ადრე ნიშნავს საოლქო კომისიებს.<sup>119</sup>

მეორე რგოლია რაიონული საარჩევნო კომისია. იგი შედგება 4 მოსამართლისა და ex officio საარჩევნო კომისრისგან.<sup>120</sup> მისი ფორმირებისთვის გამოიყენება ზემოთ განხილული წესი.<sup>121</sup>

პირველი რგოლია ტერიტორიული საარჩევნო კომისია, რომელიც შედგება 9 წევრისგან. მათ ნიშნავენ საარჩევნო კომიტეტები.<sup>122</sup>

### *პროფესიულ-პოლიტიკური ქვეტიპი*

#### **სლოვენია**

**საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანო:** სლოვენიის სახელმწიფო საარჩევნო კომისია შედგება პრეზიდენტის, ვიცეპრეზიდენტის, 5 წევრისა და მათი მოადგილეებისგან.<sup>123</sup> პრეზიდენტი და ვიცეპრეზიდენტი აირჩევა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთაგან, 1 წევრი და მოადგილე სამართლის ექსპერტებიდან, ხოლო დანარჩენებს ასახელებენ ფრაქციები პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის საფუძველზე.<sup>124</sup> ყველა წევრს ირჩევს ეროვნული კრება.<sup>125</sup> გადაწყვეტილება მიიღება სრული შემადგენლობის უმრავლესობით.<sup>126</sup>

**ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაცია:** სახელმწიფო საარჩევნო კომისიის შემდგომ არსებობს 3 ქვედა დონის საარჩევნო რგოლი. მესამე საფეხურია საოლქო საარჩევნო კომისია,<sup>127</sup> მეორე - რაიონუ-

<sup>118</sup> Ibid, art. 170, § 2.

<sup>119</sup> Ibid, art. 170, § 3.

<sup>120</sup> Ibid, art. 174, § 1.

<sup>121</sup> Ibid, art. 174, § 2.

<sup>122</sup> Ibid, Art. 178, § 2.

<sup>123</sup> Republic of Slovenia, Early Parliamentary Elections, May 2018 OSCE/ODIHR Needs Assessment Mission Report, p. 4, უთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y9yt6vvl>, განახლებულია: 11.06.20.

<sup>124</sup> Ibid.

<sup>125</sup> Ibid.

<sup>126</sup> Rules of Procedure of the National Assembly (PoDZ-1), art. 81, სლოვენიის ეროვნული ასამბლეის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y6wk3ut8>, განახლებულია: 18.11.20.

<sup>127</sup> Office for Democratic Institutions and Human Rights, Republic of Slovenia, Early



ლი საარჩევნო კომისია და პირველი - საუბნო კომისია.<sup>128</sup>

საარჩევნო კომისიები მუდმივმოქმედი ორგანოებია, რომლებიც სასამართლო, პოლიტიკური და პროფესიული წრეებიდან ყალიბდება.<sup>129</sup> მათ აქვთ 4-წლიანი მანდატი და თითოეული ზედამხედველობს საარჩევნო პროცესებს საკუთარ დონეზე.<sup>130</sup>

სახელმწიფო საარჩევნო კომისია ნიშნავს საოლქო და რაიონულ კომისიებს.<sup>131</sup> გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.<sup>132</sup> თითოეული მათგანი შედგება პრეზიდენტის, ვიცეპრეზიდენტის, 3 წევრისა და მათი მოადგილეებისგან.<sup>133</sup> საოლქო საარჩევნო კომისიები - 2 მოსამართლისგან, ხოლო რაიონული - 1 მოსამართლისა და 1 სამართლის ექსპერტისგან.<sup>134</sup> 2 წევრი და მათი მოადგილეები ინიშნებიან საპარლამენტო ფრაქციათა წარდგენის საფუძველზე პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის გათვალისწინებით.<sup>135</sup> საუბნო კომისიები შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილის, 2 წევრისა და მათი მოადგილეებისგან.<sup>136</sup> თავმჯდომარე აირჩევა მოსამართლეთა რიგებიდან, მისი მოადგილე იურისტი უნდა იყოს.<sup>137</sup> დარჩენილი წევრები კი ინიშნებიან პოლიტიკური პარტიების წარდგენით, მათი პროპორციული წარმომადგენლობის გათვალისწინებით.<sup>138</sup>

---

Parliamentary Elections, 3 June 2018, ODIHR Election Assessment Mission Final Report, p. 5, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y5wdr9py>, განახლებულია: 21.07.20.

<sup>128</sup> Ibid.

<sup>129</sup> Ibid.

<sup>130</sup> Ibid.

<sup>131</sup> Ibid, გვ. 6.

<sup>132</sup> POSLOVNIK Državne volilne komisije (PoDVK-1), 31 (1) člen, ხელმისაწვდომია მხოლოდ სლოვენურ ენაზე, სლოვენის რესპუბლიკის ოფიციალური გაზეთის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/yypfn7yg>, განახლებულია: 18.11.20.

<sup>133</sup> Office for Democratic Institutions and Human Rights, Republic of Slovenia, Early Parliamentary Elections, 3 June 2018, ODIHR Election Assessment Mission Final Report, p. 6.

<sup>134</sup> Ibid.

<sup>135</sup> Zakon o volitvah v državni zbor (ZVDZ), 33 člen, ხელმისაწვდომია მხოლოდ სლოვენურ ენაზე, სლოვენის რესპუბლიკის ოფიციალური გაზეთის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y3mots3b>, განახლებულია: 18.11.20.

<sup>136</sup> Office for Democratic Institutions and Human Rights, Republic of Slovenia, 2018 Early Parliamentary Elections, ODIHR Needs Assessment Mission Report, 13-16 March 2018, p.4, ეუთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y9yt6vvi>, განახლებულია: 21.07.20.

<sup>137</sup> Zakon o volitvah v državni zbor (ZVDZ), 34 člen..

<sup>138</sup> Ibid.

## ლიტვა

**საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანო:** ლიტვაში ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო პროცესების ორგანიზების მთავარი ორგანოა, რომელიც შედგება 13 წევრისგან.<sup>139</sup> მათ ნიშნავს სეიმი<sup>140</sup> დამსწრეთა უმრავლესობით.<sup>141</sup> უმაღლესი განათლების მქონე 2-2 წევრს წარადგენენ იუსტიციის მინისტრი, ადვოკატთა ასოციაცია და სახელმწიფოს მეთაური,<sup>142</sup> თითო წევრს<sup>143</sup> კი - სეიმში არჩეული ის პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში მიიღეს მანდატები.<sup>144</sup>

**ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაცია:** ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაციის რგოლებს მიეკუთვნება საოლქო და საუბნო საარჩევნო კომიტეტები.

საოლქო საარჩევნო კომიტეტებს ქმნის ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი არჩევნებამდე არაუგვიანეს 74-ე დღისა.<sup>145</sup> გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით.<sup>146</sup> საოლქო საარჩევნო კომიტეტი შედგება იუსტიციის მინისტრისა<sup>147</sup> და ადვოკატთა ასოციაციის<sup>148</sup> მიერ დასახელებული თითო წევრისგან. ამ პირებს უნდა ჰქონდეთ იურიდიული განათლება.<sup>149</sup> საოლქო საარჩევნო კომიტეტში აგრეთვე შედის მერის მიერ დასახელებული საჯარო მოხელე. ის უნდა მუშაობდეს იმ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციაში, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ შედის ამ საარჩევნო ოლქში.<sup>150</sup> კომიტეტში წევრების დასახელების უფლება აქვთ იმ პარტიებსაც,

<sup>139</sup> Republic of Lithuania, Parliamentary Elections, October 2020 ODIHR Needs Assessment Mission Report, p. 5, ეუთოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/ya99xl96>, განახლებულია: 11.06.20.

<sup>140</sup> Republic of Lithuania Law on the Central Electoral Commission, art. 7, ლიეტუვის სეიმის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y93tl6ry>, განახლებულია: 11.06.20.

<sup>141</sup> Seimas of the Republic of Lithuania Statute, art. 113, sec. 1, ლიეტუვის სეიმის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y5eklsn9>, განახლებულია: 17.11.20.

<sup>142</sup> Ibid, art. 7, sec. 3.

<sup>143</sup> Ibid, art. 7, sec. 4.

<sup>144</sup> Ibid, art. 7, sec. 3.

<sup>145</sup> Republic of Lithuania Law on Elections to the Seimas, art. 15, sec. 1, ლიეტუვის სეიმის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/y7gnzqr>, განახლებულია: 15.07.20.

<sup>146</sup> Republic of Lithuania Law on the Central Electoral Commission, art. 12, sec. 2.

<sup>147</sup> Republic of Lithuania Law on Elections to the Seimas, art. 15, sec. 2, subsection 1.

<sup>148</sup> Ibid, art. 15, sec. 2, subsection 2.

<sup>149</sup> Ibid.

<sup>150</sup> Ibid, art. 15, sec. 2, subsection 3.

რომლებმაც სეიმის მანდატები მოიპოვეს მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში.<sup>151</sup> თუ პარტიები კანდიდატებს არ წარადგენენ, მათი ნომინირების უფლებამოსილება ენიჭებათ იუსტიციის მინისტრს, ადვოკატთა ასოციაციას და მერს.<sup>152</sup> საოლქო საარჩევნო კომიტეტის თავმჯდომარეს ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია.<sup>153</sup>

არჩევნებამდე არაუგვიანეს 65-ე დღისა საოლქო საარჩევნო კომიტეტი განსაზღვრავს საუბნო საარჩევნო კომიტეტების წევრთა რაოდენობას. ის უნდა იყოს იმ პოლიტიკური პარტიების რიცხვის ჯერადი, რომელთაც აქვთ კანდიდატის დასახელების უფლება.<sup>154</sup> თუ დასახელებულ წევრთა რაოდენობა არასაკმარისია ან ვაკანტური ადგილი დარჩა, მაშინ იმ მუნიციპალიტეტის მერი, სადაც საუბნო კომიტეტი იქმნება, დასახელებს საჭირო რაოდენობის კანდიდატებს.<sup>155</sup> თანაბარი რაოდენობის კანდიდატებს ასახელებენ სუბიექტები, რომლებმაც წინა საპარლამენტო ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოს არჩევნებში მოიპოვეს მანდატები.<sup>156</sup> პარტია საკუთარი კანდიდატების სიას საოლქო კომისიას უგზავნის არჩევნებამდე არაუგვიანეს 48-ე დღისა. ხოლო არაუგვიანეს 45-ე დღისა საოლქო საარჩევნო კომიტეტები ქმნიან საუბნო საარჩევნო კომისიებს,<sup>157</sup> რის შესახებაც გადაწყვეტილება მიიღება სხდომაში მონაწილე პირთა უმრავლესობით.<sup>158</sup>

---

<sup>151</sup> Ibid, art. 15, sec. 2, subsection 4.

<sup>152</sup> Ibid, art. 15, sec. 2.

<sup>153</sup> Ibid, art. 15, sec. 7.

<sup>154</sup> Ibid, art. 17, sec. 1.

<sup>155</sup> Ibid.

<sup>156</sup> Ibid, art. 17, sec. 2.

<sup>157</sup> Ibid, art. 17, sec. 5.

<sup>158</sup> Ibid, art. 20, sec. 1.